სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვი და სკოლაში მისი ტრანზიციის ხელშეწყობა დამრიგებლის მიერ

ნათია გაბაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Natia_gabashvili@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.29

ადამიანებს ცხოვრების განმავლობაში მუდმივად უწევთ ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა, რასაც ტრანზიციას უწოდებენ. ეს ის ეტაპია, როცა ყველა ბავშვის ინდივიუალური საჭიროებები უნდა იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის ინდივიდთა თანაბარ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური - განათლების უფლება. ინკლუზიური ადრეული განათლების სასურველი შედეგი ყველა ბავშვისათვის, მათ შორის, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის, არის მიკუთვნებულობისა და სრულუფლებიანი წევრობის განცდა, დადებითი სოციალური ურთიერთობები და სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა, თითოეული ბავშვის პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად.

თავის პირველ ნაბიჯებს სკოლაში ბავშვი იწყებს დამრიგებელთან ურთიერთობით. უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის პირველი შეხება სკოლასთან იყოს დადებითი, საინტერესო და მამოტივირებელი შემდგომი სწავლისათვის. სწორედ ამის გამო ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს კლასის დამრიგებელს, რომელთან ერთადაც ბავშვი იწყებს ტრანზიციის პროცესს. დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში.

სკოლაში სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესში კლასის დამრიგებელთა როლის, ამ საკითხთან მათი დამოკიდებულებების შესწავლა-გაანალიზების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში განხორციელდა ვიზიტი და დაწყებითი საფეხურის კლასების დამრიგებლებთან ინტერვიუ.

სკოლებში ვიზიტს წინ უძღოდა კომუნიკაცია სკოლების ხელმძღვანელობასთან დაგეგმილი ღონისძიების შესახებ ინფორმაციის მიწვდის მიზნით. ნაშრომში მოცემულია ქ. თელავის სკოლების მაგალითზე ამ მხრივ არსებული სიტუაცია,კვლევის შედეგები საკმაოდ საინეტერსო და გასათვალისწინებელია ამ სფეროთი დაინეტერესებული მკვლევარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტრანზიცია,ინკლუზია, სსსმ ბავშვი, სოციალური ურთიერთობები, კლასის მართვა.

ადამიანებს ცხოვრების განმავლობაში მუდმივად უწევთ ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა, რასაც ტრანზიციას უწოდებენ.

ტრანზიცია საკმაოდ კომპლექსური პროცესია და არ ნიშნავს უბრალოდ ბაღის დასრულების შემდეგ ბავშვის სკოლაში შეყვანას. ეს ის ეტაპია, როცა ყველა ბავშვის ინდივიუალური საჭიროებები უნდა იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული. თითოეული მათგანისთვის, განათლების ხარისხიანი წვდომისა და მონაწილეობისათვის არსებითია მათი ჩართულობა - ინკლუზია. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის ინდივიდთა თანაბარ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური - განათლების უფლება. ინკლუზიური ადრეული განათლების სასურველი შედეგი ყველა ბავშვისათვის, მათ შორის, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის, არის მიკუთვნებულობისა და სრულუფლებიანი წევრობის განცდა, დადებითი სოციალური ურთიერთობები და სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა, თითოეული ბავშვის პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად (გაეროს ბავშვთა ფონდი. 2019).

თავის პირველ ნაბიჯებს სკოლაში ბავშვი იწყებს დამრიგებელთან ურთიერთობით. უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის პირველი შეხება სკოლასთან იყოს დადებითი, საინტერესო და მამოტივირებელი შემდგომი სწავლისათვის. სწორედ ამის გამო ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს კლასის დამრიგებელს, რომელთან ერთადაც ბავშვი იწყებს ტრანზიციის პროცესს და ამ პროცესის შესამსუბუქებლად მას დიდი მისია აკისრია. დამრიგებლის მუშაობის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში.

ახალ გარემოში ბავშვის ტრანზიციის პროცესის დაგეგმვისა და ეფექტიანად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია დამრიგებლის მიერ ბავშვის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასება, ისევე, როგორც ოჯახის და მიმღებ დაწესებულებაში არსებული რესურსებისა და ბარიერებისა. მიმღები გარემოს რესურსები და შესაძლო დაბრკოლებები, კონკრეტულ ბავშვთან და მის საჭიროებებთან მიმართებით უნდა გაანალიზდეს. ბავშვთან, ოჯახსა და საგანმანათლებლო გარემოსთან დაკავშირებული აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და

დოკუმენტირება დამრიგებლის მიერ, ტრანზიციის პროცესის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს.

„...ტრანზიციას თავისებური განმავითარებელი (ემოციური, ფიზიკური, შემეცნებითი და სხვა) ფუნქცია აქვს და შედეგად, ბავშვი ახალ, საკმაოდ ღირებულ გამოცდილებას იძენს. მიუხედავად ამისა, ყოველი ახალი ტრანზიცია, შესაძლოა, საკმაოდ რთული, მტკივნეული და სტრესული აღმოჩნდეს ბავშვისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ იქნება უზრუნველყოფა შესაბამისი მხარდაჭერით." (ევროკავშირი საქართველოსთვის. 2018). ამიტომ ტრანზიციის საკითხი ყოველთვის აქტუალურია, ხოლო, როდესაც საქმე ეხება სსსმ მოსწავლეს, ეს მეტ სიმძფრეს იძენს რიგი ფაქტორების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის რელევანტური უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სივრცის აღმოჩენასა და ამ გარემოს შესაბამისად მომზადებას, შესაძლოა, მეტი დრო და განსხვავებული რესურსების მობილიზება დასჭირდეს (რუხაძე,ნ. 2016.)

შეუძლებელია, სწავლისა და სწავლების დონე ეფექტური იყოს კლასში, რომელსაც დამრიგებელი კარგად არ მართავს.

ის სტრესი, რასაც პირველკლასელი იღებს სკოლაში ტრანზიციის პროცესში, ეს იქნება დილის რუტინა, გაკვეთილებზე დროულად მისვლა, თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა თუ ახალ გარემოსთან შეგუება, ბავშვისათვის ძნელი გადასატანია და ამ პროცესის შემსუბუქებაში დამრიგებელი უნდა იყოს მთლიანად ჩართული, რომ იცოდეს თითოეული ნიუანსი თუ სად უჭირს ბავშვს, რაში ჭირდება მხარდაჭერა და შესაბამისად უნდა შეიმუშოს მხარდაჭერის მექანიზმები, სტრატეგიები. როდესაც იქმნება კეთილგანწყობილი გარემო, სადაც გამოიკვეთება დამრიგებლის მხარდაჭერა, გვერდში დგომა, ბავშვი თავს გრძნობს დაცულად და მშვიდად. შედეგად, იოლდება ტრანზიციის პროცესი და შეჩვევა ახალ გარემოსთან. ასეთ გარემოში ბავშვისთვის ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს კომუნიკაციის დამყარება თანატოლებთან და პედაგოგებთან.

დამრიგებლის მოვალეობაა ბავშვისთვის სკოლაში შესვლის პირველი დღე გამორჩულად ლამაზი და ეფექტური გახადოს.: მაგალითად, ამ მიზნით უნდა იზრუნოს სასწავლო გარემოს ლამაზად გაფორმებაზე, რაც ცხადია დადებითად აისახება ბავშვის პოზიტიურ განწყობაზე და დიდ მოტივაციას უქმნის მას სწავლისადმი. დამრიგებელმა უნდა იზრუნოს და უზრუნველყოს ბავშვებს შორის მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ჩაუნერგოს მათ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული.

კლასის ეფექტურად მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია საკლასო წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბება და დანერგვა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით კლასებში დამრიგებლის მიერ დადგენილი წესები და პროცედურები, როგორც წესი, ეხება შემდეგ სფეროებს:

• ზრდილობიანი დამოკიდებულება თანატოლების, პედაგოგების მიმართ;

• სხვისი საკუთრების/ნივთების ხელშეუხებლობა და დაცვა

• ქცევის წესები სხვებთან კომუნიკაციისას, მასწავლებლის ან მოსწავლეთა საუბრის პროცესში უნებართვო ჩართვა;

•ბულინგი, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება , დაცინვა,.

ახალ გარემოში ბავშვის ტრანზიციის პროცესის დაგეგმვისა და ეფექტიანად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია დამრიგებლის მიერ ბავშვის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების დადგენა-შეფასება, ასევე, ოჯახის და მიმღებ დაწესებულებაში არსებული რესურსებისა და ბარიერების დადგენა-შეფასება. აუცილებელია კონკრეტულ ბავშვთან და მის საჭიროებებთან მიმართებით გაანალიზდეს მიმღები გარემოს რესურსები და შესაძლო დაბრკოლებები. ბავშვთან, ოჯახსა და საგანმანათლებლო გარემოსთან დაკავშირებული აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და დოკუმენტირება დამრიგებლის მიერ, ტრანზიციის პროცესის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს.

ბავშვის ტრანზიციის დროს მნიშვნელოვანია კლასის დამრიგებელის მიერ ბავშვის განვითარების თითოეული სფეროს, თავისებურების კონტროლი და გათვალისწინება, რომ სწორედ ამ ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით უზრუნველყონ საჭირო მხარდაჭერა.

სკოლაში სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესში კლასის დამრიგებელთა როლის, ამ საკითხთან მათი დამოკიდებულებების შესწავლა-გაანალიზების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში განხორციელდა ვიზიტი და დაწყებითი საფეხურის კლასების დამრიგებლებთან ინტერვიუ.

სკოლებში ვიზიტს წინ უძღოდა კომუნკიაცია სკოლების ხელმძღვანელობასთან დაგეგმილი ღონისძიების შესახებ ინფორმაციის მიწვდის მიზნით. უნდა აღინიშნოს ხუთივე სკოლის წარმომადგენელთა კეთილგანწყობა და ურთიერთთანამშრომლობაზე მზაობა, რაც აისახა ჩატარებული ინტერვიუების ხარისხზეც. ინტერვიუს ჩაწერა მოხდა პირისპირ, სკოლაში ვიზიტისას, ტელეფონის მეშვეობით. ინტერვიუ იყო ანონიმური და მასში პედაგოგებისა და მოსწავლეების სახელები შეცვლილია. თითოეული ინტერვიუ გაგრძელდა საშუალოდ 15 წუთი.

ინტერვიუში მონაწილეობდა 5 დაწყებითი კლასის დამრიგებელი, აქედან ორი მათგანი წარმოადგენდა სოფლის სკოლას, ხოლო დანარჩენი, ქალაქის სკოლას. ინტერვიუს ხუთივე

რესპოდენტი იყო ქალბატონი , სოფლის სკოლის დაწყებითი კლასის დამრიგებლების ასაკი 60 წლამდეა და მათი სამუშაო გამოცდილება 30 წელს ითვლის, ხოლო ქალაქის სკოლის დაწყებითი კლასების დამრიგებლების ასაკი 40- დან 45 წლამდეა, მათი სკოლაში მუშაობის გამოცდილება 5 წლამდეა.

აღსანიშნავია, რომ სკოლებში ვიზიტისას, ორი სკოლის წარმომადგენელთა ინიციატივით მოვინახულეთ რესურსოთახები, რომელიც ძალიან კარგად იყო მოწყობილი და აღჭურვილი საჭირო რესურსებით, რაც შეესაბამებოდა ამჟამად სკოლაში მყოფ სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს. (სსსმ მოსწავლეებს აღენიშნებათ ყურადღების დეფიციტი, სმენის დარღვევა, აუტისტური სპექტრის აშლილობა.) მოცემულ სკოლებში განსაკუთრებული საჭიროების ბავშვი, რომელიც ისარგებლებს ეტლით, ბრაილის შრიფტით ან სხვა აუცილებელი საჭიროებით ამ ეტაპზე არ სწავლობენ.

დამრიგებლებთან ინტერვიუსათვის შევიმუშავეთ 5 ძირითადი კითხვა:

1. აღწერეთ სსსმ ბავშვის ტრანზიციის პროცესი.
2. აღწერეთ მასში შემავალი მხარეების მონაწილეობა/ პასუხისგებლობა.
3. როგორ მიმდინარეობდა კომუნიკაცია?
4. რა გამოწვევებს/ ძლიერ მხარეებს ხედავთ?
5. როგორ უნდა მოხდეს ამ გამოწვევების გადაჭრა?

დასკვნა/რეკომენდაციები:

დამრიგებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა მათგანი აცნობიერებს თავიანთ დიდ როლსა და პასუხისმგებლობას ტრანზიციის პროცესში. უმეტესობა აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე არ უჭირთ ტრანზიციის პროცესის მართვა. მათ ყავთ ასისტენტები და ისინი ეხმარებიან სსსმ ბავშვების მართვაში. ორი მათგანი, რომელთა სკოლაშიც არა არის ინდივიდუალური ასისტენტი ამბობს, რომ აუცილებელია ინდივიდუალური ასისტენტის დანიშვნა, რამეთუ სსსმ ბავშვის ჩართულობა სასწავლო პროცესში მოითხოვს დიდ დროსა და ენერგიას და ამ პერიოდში სხვა ბავშვებს აკლდებათ მასწავლებლის ყურადღება. სავარაუდოდ, ეს საჭიროება უფრო აუცილებელი გახდება, თუ სკოლაში მომრავლდება სსსმ ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეები

ინტერვიუს შედეგად აღმოჩნდა, რომ თითქმის არ არსებობს კომუნიკაცია საბავშვო ბაღსა და სკოლას შორის, სკოლა სსსმ ბავშვის შესახებ ინფორმაციას იღებს მშობლისგან. სასურველი იქნებოდა ამ ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის იყოს უფრო მჭდრო ურთიერთობა. ეს არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიც არის სკოლაში სსსმ ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობისა და ზოგადად, სკოლისა და საბავშვო ბაღების ურთიერთთანამშრომლობის ამაღლების მიზნით. ამ მიზნით შესაძლებელია არაერთი

ღონისძიებების ჩატარება, ბაღის წარმომადგენელთა ვიზიტი სკოლაში, იმ გარემოს გაცნობა, სადაც მომავალში მოუწევს ბავშვს სწავლა, სკოლისათვის სსსმ მოსწავლეზე ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის მ იწვდა მშობლის ჩართულობით და ა. შ.

ყველა დამრიგებელი აღიარებს ტრანზიციის პროცესში მშობლის მაქსიმალურ ჩართულობას. ისინი ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან დამრიგებელს თავიანთი სსსმ ბავშვის შესახებ და ყოველდღიურად თანამშრომლობენ მათთან. მაგრამ ბევრად ეფექტიანი იქნებოდა ეს თანამშრომლობა, თუ ამ პროცესში ჩართულიც იქნებოდა აღმზრდელი-პედაგოგი საბავშვო ბაღიდან.

დამრიგებლები ტრანზიციის პროცესში თავიანთ ძლიერ მხარედ ასახლებენ გამოცდილებას, კომუნიკაციას მშობლებთან. მათ კარგად იციან როგორ მოარგონ სკოლის გარემო სსს მოსწავლეს. დამრიგებლების გვერდში დგანან სკოლის დირექტორი და მთლიანი სკოლა.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს არ აქვთ ცოდნის ასამაღლებელი ტრენინგები გავლილი სსსმ ტრანზიციის კუთხით ბაღიდან სკოლაში, რაც ნამდვილად აუცილებლობას წარმოადგენს.

გამოკითხულთაგან სამ დამრიგებელს ნამდვილად სჭირდებათ კომპეტენციის ასამაღლებელი ტრენინგები ან შეხვედრები.ისინი ამბობენ, რომ არაფერი არ უჭირთ და ცოდნა საკმარისი აქვთ, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ მათ ნამდვილად უჭირთ სსსმ ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობა და ესაჭიროებათ კომპეტენციების ამაღლება. ამ მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა ინსტიტუციების ჩართულობის გაზრდა და თანამშრომლობის გაძლიერება სკოლებთან, რაც მიმართული იქნება პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე ტრანზიციის მიმართულებით.

ლიტერატურა:

1.გაეროს ბავშვთა ფონდი. 2019. ინკლუზიური ადრეული განათლება. საფუძვლები.

2.ევროკავშირი საქართველოსთვის. 2018. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა.

3. რუხაძე,ნ. 2016. ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი.

4. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels_2018-24 ეროვნული სასწავლო გეგმა კარი I - სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები

Natia Gabashvili
I.Gogebashvili State University, Telavi, Georgia

The Role of Class Supervisor in the Process of Transition of Pupils with Special Needs

Abstract

Throughout the life people have to transit from one stage to another which is called transition. This is the stage when the individual needs of every child should be maximally taken into consideration. It ensures equal envolvement of pupils with various abilities in educational process in order that one of the fundamental right of a person-the right of education be satisfied. Desired outcome of early inclusive education , among them for children of special needs and their families is the feeling of belonging, positive soacial relations ,learning and development promotion.

First steps of pupils at school are started with the relation of class tutor. It is crucially important that fist touch with the school must be positive, interesting and motivating for thurther learning. That's why class supervisor's role is very important, with whom a child begins the transition process and for simplifying this process she has a big part. The aim of a class tutor's work is to help pupils to attain national purposes of general education and develop personal, moral, mental and physical opportunities.

In order to find out the role of a class tutor in the the process of transition of pupils with special needs and to investigate/analyse their dependence towards this isue we carried out a research in 5 public schools of Telavi and interviewed class supervisors.

Before visiting schools we had communication with school principals in order to inform them about the issue. The artcile deals with the existing situation in schools, research results are interesting and should be provided by the researchers interested in this issue.

Key Words: transition, inclusion, child with special needs, social relations, class management

რეცენზენტი: პროფესორი ლიალია კიროვა